

მედეა ჯაფარიძე

მედეა ჯაფარიძე მრავალი ათეული წელი ამშვენებდა ქართულ თეატრალურ სცენასა და ეკრანს. ამშვენებდა ნიჭის თავისებურებით, ღვთაებრივის გარეგნობით, მრავალმხრივი სცენური თუ ეკრანული სახეებით, იმ შინაგანი სილამაზის ხიბლით ყოველდღიურობაში რომ ავლენდა.

მედეა ჯაფარიძე დაიბადა 1922წ. თბილისში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლა. იგი ცნობილი რევოლუციონერის, ალექსანდრე ჯაფარიძის ოჯახში აღიზარდა, ბავშვობა მოსკოვში გაატარა დედასთან და ბიძაშვილებთან ერთად. 1938 წელს მიიწვიეს კინოსტუდიაში ლ. ესაკიას ფილმში „აბესალომ და ეთერი“ მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც განასახიერა ეთერის როლი. სკოლის დამთავრებისთანავე გადაიღეს მეორე ფილმში „ქალიშვილი გაღმიდან“ და შეასრულა ნაზიმის როლი.

1941 წელს მიიწვიეს მსახიობად კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. 1946 წელს შედის მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ ვლ. ნემიროვიჩ-დაჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდიაში თავისუფალ მსმენელად.

ოთხი თეატრალური სეზონის გამოკლებით (როცა რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა) მედეა ჯაფარიძემ მთელი შემოქმედებითი ცხოვრება მარჯანიშვილის თეატრში გაატარა, სადაც მსახიობთა თანაგარსკვლავედში მუდამ თავისი ადგილი ჰქონდა. ამის შესახებ აკაკი კვანტალიანიძე კარგად თქვა: „არავის ადგილი არ დაუკავებია მას ჩვენს თეატრში – მან დაიკავა თავისი საკუთარი, მედეა ჯაფარიძის ადგილი“.

მედეა ჯაფარიძემ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მრავალი სცენური სახე შექმნა. პირველი როლი იყო შურთკა ვ. ანჯაფარიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში ვს. როლის „ინჟინერი სერგევი“. თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე მას მუშაობა მოუხდა ქართული თეატრის გამოჩენილ რეჟისორებთან: ვ. ტაბლიაშვილთან, ვ. ყუშიტაშვილთან, არ. ჩხარტიშვილთან, ლ. იოსელიანთან, გ. ლორთქიფანიძესთან, მ. კუჭუხიძესთან და სხვებთან.

1949 წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა დადგა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. სწორედ შექსპირის ეს გმირია ის სახე, რომელმაც სხვა როლებზე მეტად მისცა მსახიობს საშუალება ჩაექსოვა შიგ. ის, რაც მისთვის ყველაზე მეტად სასურველია – წრფელი, ამაღლებული, უკომპრომისო სიყვარულის უნარი. სიყვარულით ზემადღებული ჯულიეტა რენესანსის ეპოქის ნამდვილი ხატება იყო. მედეა ჯაფარიძის ჯულიეტას შესახებ ვერიკო ანჯაფარიძე წერდა: „მისი ჯულიეტა არა მარტო შექსპირის ფურცლებიდანაა გადმოსული, არამედ ძველი იტალიური ტილოებიდანაც“.

ყველა მსახიობს შეუქმნია ისეთი მხატვრული სახე, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მისი შემოქმედება. მედეა ჯაფარიძისთვის ასეთია მისი ჭრიჭინა. მარია ბარათაშვილის ეს გმირი სცენაზე პირველად მედეა ჯაფარიძემ გააცოცხლა. ამის გამო ის ავტორისთვისაც განსაკუთრებით ძვირფასი გახდა. მ. ბარათაშვილი არ ფარავს ამას და წერს: „... ბევრი მარინე მინახავს . . . ყველა თეატრი საუკეთესო ჭრიჭინათი იწონებდა თავს. მათი გამარჯვებით მეც გავიხარე, ზოგი ძალზე მომეწონა, მაგრამ მედეა ჯაფარიძე უპირველესი ჭრიჭინაა, უპირველესი გრძნობაც მას ეკუთვნის“.

ბ. შოუსთან მ. ჯაფარიძის პირველი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მისი ელიზა დულიტილი (ბ. შოუს „პიკოლინი“) ლონდონის გარეუბნის სიდუხჭირეში გაზრდილ უბრალო გოგონადან მაღალ არისტოკრატიულ წრეში თავმოქმდნე „ლედიდ“ იქცა. გარდაქმნის ამ პროცესს მსახიობი ახალგაზრდობის მიუხედავად, დამაჯერებლად და ოსტატურად აღწევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მედეა ჯაფარიძემ ბ. შოუს კიდევ ერთი, უკვე სულ სხვა ხასიათის გმირი განასახიერა – ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა პიესაში „ეკისარი და კლეოპატრა“. ამ დროისათვის მედეა ჯაფარიძე უკვე დაოსტატებული მსახიობი იყო. იგი დედოფლად ჩამოყალიბების პროცესს შესანიშნავად წარმოაჩენდა. თანდათან იღვიძებდა ჭირვეულ ბავშვში თავნება დედოფლის მბრძანებლური იმპულსები და ძალაუფლების მოპოვების ჟინი თანმიმდევრულად, ბუნებრივად ყალიბდებოდა კლეოპატრას წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათი.

1946 წელს მედია ჯაფარიძემ ეს როლი მოსკოვში ითამაშა მოსკოვის საბჭოს სახელმწიფო თეატრის სცენაზე. კეისარს ცნობილი რუსი მსახიობი როსტისლავ პლიატი ასახიერებდა. ეს დიდი გამარჯვება იყო, გამარჯვება იყო მსახიობების და სწორედ მათმა ნიჭიერმა შესრულებამ აქცია ეს კლასიკური პიესა ცოცხალ, ჭეშმარიტად თანადროულ ნაწარმოებად.

მრავალი საინტერესო სახე აქვს შექმნილი მედია ჯაფარიძეს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მათ შორის აღსანიშნავია: ელენე – ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკის მეჯღანუაშივილი“, 1940წ. რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი, ლარისა – ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, 1944წ. რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი, გულხუნდა – ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, 1945წ. რეჟისორი – კ. ანდრონიკაშვილი, ეთერი – ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, 1951წ. რეჟისორი – ა. ჩხარტიშვილი, ციცილო – რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, 1954წ. რეჟისორი – ლ. იოსელიანი, მარტა-იზაბელა – ა. კასონას „ხეები ზეზურად კვდებიან“, 1956წ. რეჟისორი – ვ. ანჯაფარიძე და თ.კ ანდინაშვილი, ლედი ანა – უ. შექსპირის „რიჩარდ III“, 1957წ. რეჟისორი – ვ. ყუშიტაშვილი, ნუცა – კ. ბუაჩიძის „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“, 1961წ. რეჟისორი – თ. კანდინაშვილი, ანა-გუდრიჩისა და პაკეცის „ანა ფრანკის დღიური“, 1969წ. რეჟისორი – ნ. ლორთქიფანიძე გორის თეატრში, ლედი ჰარვეი – მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ინსც. კ. მახარაძის, რეჟისორი – დ. ალექსიძე და ნ. გაჩავა, ვარვარა კარპონა – კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, 1977წ. რეჟისორი – ვ. თოღაძე, დედა – ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“, 1978წ. რეჟისორი – მ. კუჭუხიძე, იოკასტე – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, 1978წ. რეჟისორი – გ. ლორთქიფანიძე და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მედია ჯაფარიძის კინოშემოქმედება. მის მიერ განსახიერებული ქეთო ვ. ტაბლიაშვილის ფილმში „ქეთო და კოტე“ სიმშვენიერისა და უშუალობის განსახიერებაა. მისი აქტიორული ბუნება და ადამიანური თვისებანი ძლიერ ახლოს აღმოჩნდა ქეთოს სახესთან. მედია ჯაფარიძის ქეთო მაყურებელს ატყვევებს თავისი მიმზიდველობით და სიფაქიზით. მსახიობის მიერ კინოში განსახიერებული როლებია: თინათინი – „გიორგი სააკაძე“, ანა – „პოეტის აკვანი“, მანანა – „ხიდი“, ნაზიმე – „ქალიშვილი გადმოდან“, ეთერი – „ჯურღიას ფარი“, ელენე – „მწვერვალთა დამყრობნი“, ძაბული – „კოლხეთის ჩირაღდნები“, ნატო – „ეთერის სიმღერა“, ელიკო – „წარსული ზაფხული“, ეკა – „მზე შემოდგომისა“, სალომე – „სანამ წვიმა გადივლიდეს“ და სხვა.

მიუხედავად მედია ჯაფარიძის აქტიური სამსახიობო მოღვაწეობისა, მსახიობის ცხოვრებაში მაინც დგებოდა შემოქმედებითი პაუზა, რომელსაც იგი ვერ ეგუებოდა და წარმოუდგენელი იყო მისთვის. ამიტომ იგი **ქმნის** საკუთარ სპექტაკლებს, მოგონებებისა და პოეზიის სადამოს და „იმპროვიზაციის განუხორციელებელ როლებზე“. ის კითხულობდა რუსთაველს, გალაკტიონს, ტიცინ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძეს, სერგეი ესენინს, ბორის პასტერნაკს, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევის . . . ამ სადამოებით მედია ჯაფარიძე მოგზაუროს მოსკოვში, ლენინგრადში ხარკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

1950 წელს მედია ჯაფარიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

1950 წელს კინოფილმში „ჯურღიას ფარი“ ეთერის როლის შესრულებისათვის დაჯილდოვდა სტალინური პრემიით.

1960 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ხოლო 1990 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება.

1953 წელს არჩეულ იქნა ქ. თბილისის რაიონული საბჭოს დეპუტატად, 1962 წელს კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით:

მედლით “შრომითი მამაცობისათვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წლებში” 1946 წელს.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით 1958 წელს.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით 1986 წელს.

1958 წელს მედია ჯაფარიძეს გადაუხადეს იუბილე შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

გარდაიცვალა 1994 წლის 31 მარტს. დაკრძალულია დიდუბის მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის – რეზო თაბუკაშვილის გვერდით.

მედეა ჯაფარიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მედეა ჯაფარიძის ავტობიოგრაფია.
1950 წ. 19 აპრილი, ავტობიოგრაფი, მელანი, 2 გვ.
2. მედეა ჯაფარიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950 წ. 12 დეკემბერი, თბილისი, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე.
მელანი, რუსულ ენაზე, 4 გვ.
3. მედეა ჯაფარიძის ავტობიოგრაფია.
1950 წ. 15 დეკემბერი, ავტობიოგრაფი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე. მელანი, რუსულ ენაზე, 1 გვ.
4. მედეა ჯაფარიძის ავტობიოგრაფია.
1951 წ. 11 ოქტომბერი, ავტობიოგრაფი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე. მელანი, 1 გვ.
5. მედეა ჯაფარიძის დახასიათება გაცემული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ.
1954 წ. მაისი, თბილისი, ბლანკი, ნაბეჭდი, ხელს აწერენ: კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე, მთავარი რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი. ბეჭედდასმული, 1 გვ.
6. მედეა ჯაფარიძის საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწევრო ბილეთი.
1954 წ. დასტამბული და ხელნაწერი, ბეჭედდასმული, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.
7. მედეა ჯაფარიძის „საპატიო ნიშნის“ ორდენის წიგნაკი.
1958 წ. 9 მაისი, დასტამბული და ხელნაწერი, ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 1 ც.
8. მედეა ჯაფარიძის სიგელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1960 წ. 7 მარტი, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – გ. ძოწენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ზ. გელდიაშვილი. ბეჭედდასმული, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.
9. რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოფიციალური წერილი დეპუტატ მედეა ჯაფარიძისადმი, ვ. ასათიანის შეწველების შესახებ.
1964 წ. 2 მარტი, მოსკოვი, ბლანკი, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.
10. რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოფიციალური წერილი დეპუტატ მედეა ჯაფარიძისადმი. აცხობინებენ, რომ პატიმარ ჯაბა იოსელიანს, რომელსაც ჰქონდა მისჯილი 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, შეუცვალეს 10 წლით.
1964 წ. 1 აპრილი, მოსკოვი, ბლანკი, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.
11. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური წერილი მედეა ჯაფარიძისადმი, საქართველოს რესპუბლიკის თეატრების დაფინანსების შესახებ.
1965 წ. 12 მაისი, მოსკოვი, ბლანკი, ნაბეჭდი, ხელს აწერს ვ. გარბუზოვი. რუსულ ენაზე, 1 გვ.
12. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ოფიციალური წერილი დეპუტატ მედეა ჯაფარიძისადმი, პატიმარ დიმიტრი ლორთქიფანიძის საპატიმროდან გათავისუფლების შესახებ.

1965 წ. 19 ოქტომბერი, თბილისი, ბლანკი, ნაბეჭდი, 1 გვ.

13. რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოფიციალური წერილი დეპუტატ მედეა ჯაფარიძისადმი, ერნესტ მორდვინოვის შეწყალების შესახებ.

1966 წ. 4 მარტი, მოსკოვი, ბლანკი, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

14. მედეა ჯაფარიძის განცხადება საქართველოს კულტურის მინისტრ – ო.თაქთაქიშვილისადმი, რუსთაველის თეატრის დირექციასა და სამხატვრო საბჭოსადმი. ითხოვს მის მიერ დაწერილი განცხადება რუსთაველის თეატრში მიღების თაობაზე გაუქმებულად ჩაითვალოს.

1969 წ. 28 ივლისი, ნაბეჭდი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე. 1 გვ.

15. მედეა ჯაფარიძის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლის დამადასტურებელი მოწმობა.

1973 წ. 16 ივლისი, მოსკოვი, ხელნაწერი და ნაბეჭდი, ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 1 ც.

16. მედეა ჯაფარიძის საპატიო სიგელი, გაცემული საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ ონის სახალხო თეატრის სპექტაკლებში აქტიური მონაწილეობისათვის, თეატრის დაარსების 15 წლისთავთან დაკავშირებით.

1947 წ. 16 დეკემბერი, თბილისი, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. შავი მელანი, დასტამბული, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

17. მადლობის წერილი ქუთაისიდან საქართველოს კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს და კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორისადმი მედეა ჯაფარიძის ქუთაისში გასტროლების თაობაზე.

1978 წ. 15 ოქტომბერი, ნაბეჭდი, ხელს აწერენ: მ. მიქელაძე, ვ. გიორგაძე, ი. ქუთათელაძე, დ. ჭუმბურიძე, ჯ. გაბუნია, გ. მუშკუდიანი, რ. ასათიანი, ი. დავითიანი, ე. ჟორჟოლიანი, გ. წიკლაური. 2 გვ.

18. მედეა ჯაფარიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1979 წ. 15 ნოემბერი, თბილისი, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე. ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

19. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს ჩატარების შესახებ.

1985 წ. ივნისი, თბილისი, ნაბეჭდი, ასლი, 4 გვ.

20. მედეა ჯაფარიძის „შრომის წითელი დროშის“ ორდენის წიგნაკი.

1986 წ. 30 სექტემბერი, დასტამბული და ხელნაწერი, ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 1 ც.

21. მედეა ჯაფარიძის სიგელი, გაცემული საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა მიერ მსახიობის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

1986 წ. მოსკოვი, ნაბეჭდი, ხელს აწერს საკავშირო კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი – ე. გ. კლიმოვი. ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 1 ც.

22. მედეა ჯაფარიძის დაჯილდოების ფურცელი.

1989 წ. 12 სექტემბერი, თბილისი, დასტამბული, ნაბეჭდი და ხელნაწერი, ხელს აწერენ: თ. ყიფანი, შ. კოსბრიძე, გ. კანდელაკი, ლ. საყვარელიძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჩხეიძე. ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 8 გვ. 2 ეგზ.

23. საქართველოს უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის წარდგინება** მედეა ჯაფარიძესა და თენგიზ სუხიშვილისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მინიჭების შესახებ.
1990 წ. 12 აპრილი, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

24. საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება მედეა ჯაფარიძისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1990 წ. 17 მაისი, თბილისი, ნაბეჭდი, ხელს აწერს ს. ხატიაშვილი. ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 2 გვ. 2 ეგზ.

25. მედეა ჯაფარიძის დაჯილდოების ფურცელი.
1990 წ. 17 მაისი, თბილისი, ნაბეჭდი, დასტამბული, ხელს აწერენ: გ. კანდელაკი, თ. ჩხეიძე, ტ. საყვარელიძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ყიფიანი, შ. კოსრეიძე. ბეჭედდასმული, რუსულ ენაზე, 4 გვ.

26. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანება მედეა ჯაფარიძისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
1990 წ. მაისი, მოსკოვი, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

27. მედეა ჯაფარიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო, თბილისი, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს მ. ჯაფარიძე. მელანი, 4 გვ.

28. მედეა ჯაფარიძის პირადი ბარათი.
უთარილო, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს მ.ჯაფარიძე. მელანი, 8 გვ.

29. მედეა ჯაფარიძის საკვალიფიკაციო ფურცელი.
უთარილო, დასტამბული და ხელნაწერი, მელანი, 3 გვ.

30. მედეა ჯაფარიძის დახასიათება, გაცემული კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის მიერ.
უთარილო, ნაბეჭდი, ხელს აწერენ: კ.მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორი – აკ. დვალიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ტრიბოლსკი. ასლი, 1 გვ.

31. მედეა ჯაფარიძის ცნობა. რის შესახებ???
უთარილო, დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერს ი. გვინიძე. მელანი, რუსულ ენაზე, 4 გვ.

32. საქართველოს კულტურის სამინისტროს **წარდგინება** მედეა ჯაფარიძისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.
უთარილო, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

33. ვიეტნამელ ქალთა კავშირის წევრის პან ტი ანის წერილი საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტისადმი. სთხოვს, გადასცენ ვიეტნამის პრეზიდენტის ხო ში მინის ფოტოსურათი მედეა ჯაფარიძეს.
უთარილო, ნაბეჭდი, ასლი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

34. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის **პროფორგანიზაციის** თავმჯდომარის პავლე ინწკირველის მოხსენებითი ბარათი საქართველოს რესპუბლიკის პროფკავშირების თავმჯდომარე შ. კიკნაძისადმი და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ე. გოგიაშვილისადმი. ითხოვს დრამატული თეატრების მსახიობებისათვის ზაფხულის პერიოდში შვებულების ორ თვემდე გაზრდას.
პირი: ე. ფურცვეა, გრიშინი.

უთარილო, ნაბეჭდი, ხელს აწერს: პ. ინწკირველი. რუსულ ენაზე, 3 გვ.

35. მედეა ჯაფარიძის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოწმობა.

უთარილო, დასტამბული, ბეჭედი, ხელნაწერი. ფოტოსურათით. ხელს აწერს: ვ. ძაბირიძე. 1 ც.

36. მედეა ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საშვი.

უთარილო, ბეჭედი, ნაბეჭდი და დასტამბული, ხელმოწერა არ იკითხება. ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

37. მედეა ჯაფარიძის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის პირადობის მოწმობა.

უთარილო, თბილისი, დასტამბული. ნაბეჭდი. ხელნაწერი, ფოტოსურათით. ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

38. მედეა ჯაფარიძის ონის სახალხო თეატრის მუდმივი ბილეთი.

უთარილო, დასტამბული, ნაბეჭდი, ხელნაწერი. 1 ც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

39. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერი ოთარ მეღვინეთუხუცესის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

40. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები რეჟისორ ლილი იოსელიანთან შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

პირი: ვ. გაბისკირია, შ. დამბაშიძე, ა. კვანტალიანი, ლ. ყიფშიძე.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

41. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქარი და ლურჯი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

42. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები თბილისის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, წითელი და ლურჯი ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

43. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული. 2 გვ.

44. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლის „პიგმალიონი“ პრემიერის შესახებ. სპექტაკლს დაესწრო ერნსტ პიუზი – ინგლისის პარლამენტის წევრი.

პირი: ბერნარდ შოუ, რიტა რაიტი, ნიტა ტაბიძე.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

45. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები.

პირი: ბაბუნა წერეთელი.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

46. მედეა ჯაფარიძის ჩანაწერები იაპონური თეატრის – კაბუკისა და იაპონური შთაბეჭდილებების შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული, რუსულ ენაზე, 3 გვ.

47. მედეა ჯაფარიძის რვეული სხვადასხვა ჩანაწერებით და ლექსებით.

უთარილო, რვეული, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, რამდენი გვერდია???

48. მედეა ჯაფარიძის სხვადასხვა ჩანაწერები.

უთარილო, ბლოკნოტი.ავტოგრაფი, ბურთულიანი კალამი, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, 8გ.

49. მედეა ჯაფარიძის დღიური სხვადასხვა ჩანაწერებით.

უთარილო, ბლოკნოტი.ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, 6გ.

50. მედეა ჯაფარიძის სიტყვა ქალთა როლისა და უფლებების შესახებ საზოგადოებაში.

უთარილო, ხელნაწერი, შავი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

51. მედეა ჯაფარიძის მისასაღმებელი სიტყვა მანდილოსნებისადმი, მათ საპატივცემულოდ გამართულ სადღესასწაულო საღამოზე. ფრაგმენტული ხასიათის.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი და შავი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, 7 გვ. დაზიანებული, 2 გვ. ნაბეჭდი ჩასწორებული.

52. მედეა ჯაფარიძის სიტყვა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის აჭარაში გასტროლებთან დაკავშირებით.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქარი, 4 გვ.

53. მედეა ჯაფარიძის სახელით საქართველოს ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკთა მისაღმება ფრანგი ახალგაზრდობისადმი თბილისში სტუმრობის დროს.

უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, 4 გვ.

54. მედეა ჯაფარიძის მიმართვა მეგობრებისადმი სტანისლავ ნეიჰაუზის ხსოვნისადმი მიძღვნილ შინაურ საღამოზე.

პირი: ჰენრიხ ნეიჰაუზი, ბორის პასტერნაკი, ნიტა ტაბიძე, მერი დავითაშვილი, ზინაიდა ნიკოლაევა.

უთარილო. ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაუსრულებელი, 1 გვ.

55. მედეა ჯაფარიძის სიტყვა ცაცა ამირეჯიბის გარდაცვალების გამო.

უთარილო, ავტოგრაფი, ხელს აწერს მედეა ჯაფარიძე. ლურჯი ბურთულიანი კალამი, 3 გვ.

56. მედეა ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის საუბარი მელიტა ჩოლოყაშვილთან.

პირი: ზელინსკი - მელიტას მეუღლე, კონსტანტინე ბალმონტი, შოთა რუსთაველი, გიგუშა პიპინოვი, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ანა ახმატოვა, ნიკოლოზ გუმილიოვი, ალექსანდრე ბლოკი, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, ელენე ახვლედიანი, ქეთო მაღალაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, სვიატოსლავ რიხტერი, სუზანი - გუვერნანტი ქალი, ჰენრიხ ნეიჰაუზი, ნიკოლოზ ჩერუპინინი, სალომე ანდრონიკაშვილი, პრიშევა - სალომეს დეიდა, ბელა ახმადულინა, კარლო შანოვსკი - ნეიჰაუზის ბიძაშვილი, პაპუნა წერეთელი, მერი შერვაშიძე, საველი სორინი, ტუზიკოვი - მევიოლინე, პიშნოვი - მევიოლინე, ზეინიგერი - მევიოლინე, სერებრიაკოვა - პაოლოს მეუღლე.

უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 5 გვ.

57. მედეა ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის საუბარი მერი შერვაშიძესთან.

პირი: ჩუტა ერისთავი, ალექსანდრე შერვაშიძე, საველი სორინი, ვალენტინ სეროვი, მელიტა ჩოლოყაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, გრიგორი რასბუნი, იუსუბოვი, სუხოტინი, ბურიშკევიჩი, უჩა დადიანი.

უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

ადრესები

58. შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მისალოცი ადრესი მედია ჯაფარიძისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

უთარილო, თბილისი, ხელნაწერი, ხელს აწერენ: ე. ქუთელია, ო. ფირალიშვილი, ნ. გაჩავა, თ. მუმლაძე, რ. მიქელაძე, გ. დარახველიძე, მ. გოგსაძე, შ. გოგიძე, მ. კაჭარავა, მ. ყვარელაშვილი, ი. თავაძე, მ. მრეველიშვილი, ლ. მექვაბიშვილი, უ. ხორავა, მ. კუჭუხიძე, ნ. ურუშაძე, ე. გუგუშვილი, ე. გელდიაშვილი, ე. წულუკიძე, ნ. შალუტაშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, დ. ჯანელიძე, დ. კაპანაძე, ს. აბაშიძე, გ. უორდანი, ე. კელია, რ. მირცხულავა, თ. კოსტანაშვილი, ე. დავითაია, ალ. მიქელაძე, კ. მეღვინეთუხუცესი, ა. თავრაზიშვილი, კ. პატარიძე. მელანი, 3 გვ.

59. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მისალოცი ადრესი მედია ჯაფარიძისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

უთარილო. დასტამბული და ხელნაწერი, ხელს აწერენ: ა. დოლიძე, ე. ევაძე, ვ. ძიგუა, ლ. კოპალეიშვილი, ც. ელიაშვილი, ნ. ფურცელაძე, ლ. გეგუჭკორი, მ. თაქთაქიშვილი, მ. გოგოლაშვილი, ჩ. ვაშაყმაძე, გ. ნიპარიშვილი, ე. ჯიმშელეიშვილი, ი. არდიშვილი, ი. ნემსაძე, მ. ბურჭულაძე, კ. კალანდაძე, ა. გვიმრაძე, ე. შარია, ე. ოქროპირიძე, ა. კალანდარიშვილი, ი. გურგენიძე, ლ. გველესიანი, ი. ლოლუა. ვ. გველესიანი, ე. ყუფარაძე, გ. ვაშაყიძე, რ. ვახტანგოვი, ფ. ერისთავი, ე. კიკნაძე, ლ. ლომთაძე, ნ. დვალიაძე, ბ. ქუთათელაძე. 2 გვ.

60. ონის რაიონის მშრომელთა მისალოცი ადრესი მედია ჯაფარიძისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1986 წ. ონი, დასტამბული, ხელს აწერენ: საქართველოს **კპ** ონის რაიკომის პირველი მდივანი - კ. ბაქრაძე, სახალხო დეპუტატთა ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე - დ. მეტრეველი. 1 გვ.

61. საქართველოს შ.რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლებისა და სტუდენტების მისალოცი ადრესი მედია ჯაფარიძისადმი.

უთარილო, ნაბეჭდი, ხელს აწერენ: დ. ჯანელიძე, ეთ. გუგუშვილი, ვ. კიკნაძე, შ. გოგიძე, დ. კობახიძე, **თ. ქ. ვარიანი**, ე. გოსტენინა და სხვა. 1 გვ.

62. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ადრესი მედია ჯაფარიძისადმი.

უთარილო, ქუთაისი, ხელნაწერი, ტუში, 2 გვ.

63. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ თანამშრომელთა მისალოცი ადრესი მედია ჯაფარიძისადმი.

უთარილო, რუსთავი, დასტამბული, 1 გვ.

მედია ჯაფარიძის მოგონებები

64. მედია ჯაფარიძის მოგონება პაოლო იაშვილზე ფრაგმენტული ხასიათის.

პირი: ბორის პასტერნაკი, ვანიკო გომართელი, სეით იაშვილი, ლ. მაჭავარიანი, მ. აბლუშელიშვილი, მედია იაშვილი.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, 17 გვ.

65. მედია ჯაფარიძის მოგონება თამარ ციციშვილზე.

პირი: მანანა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, **ალექსანდრე** ბლოკი.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული, 4 გვ.

66. მედეა ჯაფარიძის მოგონება თამარ ციციშვილზე.

პირი: ნინო ჭავჭავაძე, პუპი დადიანი.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაუსრულებელი, დაზიანებული, 2 გვ.

67. მედეა ჯაფარიძის მოგონება ტიცვიან ტაბიძესა და მის ოჯახზე.

პირი: ნიტა ტაბიძე, ნინო მაყაშვილი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ალექსი ტოლსტოი, სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ბორის პასტერნაკი, ოსიპ მანდელშტამი, ფიროსმანი, გუდიაშვილი, სუდეიკინი, ბურლიუკი, ს. ტოლსტაია – ს. ესენინის მეუღლე, სერგეი გოროდეცკი, პაოლი იაშვილი, ოვანეს თუმანიანი, ილია ერენბურგი, ი. ანდრეევი, ნინო გუდიაშვილი, მარინა ცვეტაევა.

უთარილო, ნაბეჭდი და ხელნაწერი, რუსულ და ქართულ ენებზე, 19 გვ.

68. მედეა ჯაფარიძის მოგონება ქორეოგრაფ ჯანო ბაგრატიონზე.

პირი: ნიკოლოზ მაჭავარიანი, პაოლო იაშვილი, თ. ციციშვილი.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი და ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაუსრულებელი, 2 გვ.

69. მედეა ჯაფარიძის მოგონება კოლაუ ნადირაძეზე.

პირი: პაოლო იაშვილი, მედეა იაშვილი.

უთარილო, ავტოგრაფი, ფლომასტერი, დაზიანებული, 3 გვ.

70. მედეა ჯაფარიძის მოგონება ვასილ ყუშიტაშვილზე.

უთარილო, ავტოგრაფი, მწვანე ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

71. მედეა ჯაფარიძის მოგონება რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის შესახებ, მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ.

პირი: კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი.

უთარილო, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული, 3 გვ. 2 ეგზ.

72. მედეა ჯაფარიძის მოგონება ს. ესენინის მეუღლის – სოფია ტოლსტაიასა და ბ. პასტერნაკის თბილისში ბოლო სტუმრობის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, დაუსრულებელი, 4 გვ.

73. მედეა ჯაფარიძის მოგონება შალვა დამბაშიძეზე. იხსენებს სპექტაკლს „პარტიზანები“.

პირი: გ. შაველიძე, პ. კობახიძე, ი. ტრიპოლსკი, ვ. ანჯაფარიძე.

უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, 4 გვ.

მოგონებები მედეა ჯაფარიძეზე

74. მედეა ჯაფარიძის ახლო ნათესავის – ელისო ჯაფარიძის მოგონება მედეას შესახებ.

პირი: ალიოშა ჯაფარიძე, ანა გოცირიძე, ფ. მახარაძე, რ. თაბუკაშვილი, შავერდოვი, ელისო, ვერა. 1978 წ. 17 აპრილი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

75. მსახიობ ნინო ჩხეიძის მოგონება მედეა ჯაფარიძეზე.

პირი: რეზო თაბუკაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, უშანგი ჩხეიძე.

1982 წ. 23 ივნისი, თბილისი, ხელნაწერი, ხელს აწერს: ნ. ჩხეიძე. ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული. მე-2-ე გვ. აკლია, 4 გვ.

76. როსტისლავე პლიატის მოგონება მედია ჯაფარიძის შესახებ. იგონებს მედია ჯაფარიძის მიერ შესრულებული კლეოპატრას როლს ბ. შოუს პიესაში “კეისარი და კლეოპატრა”.
1982 წ. 24 ნოემბერი, მოსკოვი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

77. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვასილ ტოპორკოვის ქვრივის ლ. მ. დალსკაია-ტოპორკოვას მოგონება მედია ჯაფარიძეზე.
1983 წ. მაისი, მოსკოვი, ხელნაწერი, ხელს აწერს ლ. დალსკაია-ტოპორკოვა. შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 7 გვ.

78. თენგიზ მაჭარაშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს მედია ჯაფარიძესა და რეზო თაბუკაშვილთან შეხვედრას.
პირი: რ. თაბუკაშვილი, ოთარ კვიციანი, ნანა ხოშტარია, ნუნუ გამსახურდია, ციალა თაბუკაშვილი, ეკა მაჩაბელი, ნანა.
2001 წ. თბილისი, ხელნაწერი, ტუში, 1 რვეული, 12 გვ.

79. თამარ ციციშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იხსენებს მასთან პირველ შეხვედრას და ერთად ნათამაშებ როლებს.
უთარილო, ხელნაწერი, პირი: გიორგი კოსტავა, სერგო ზაქარიაძე. ლურჯი ბურთულიანი კალამი, ერთვის ნაბეჭდი ვარიანტი. 2 გვ.

80. ნიტა ტაბიძის მოგონება მედია ჯაფარიძეზე.
პირი: ა. პუშკინი, ე. ჰემინგუეი, მ. ცვეტაევა, კ. ბალმონტი.
უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 5 გვ.

81. ოთარ მეღვინეთუხუცესის მოგონება მედია ჯაფარიძის შესახებ. (ფრაგმენტი)
უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

82. ტატა ჯაფარიძის მოგონება მედია ჯაფარიძეზე.
პირი: დეიდა ვერა, თ. თვალაშვილი, კუპრაშვილი.
უთარილო, ნაბეჭდი, ჩასწორებული, 2 გვ.

83. მარია ბარათაშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იხსენებს მათ ერთობლივ შემოქმედებით მუშაობას სპექტაკლში „მარინე“.
უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 3 გვ.

84. მარია ბარათაშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე „ჩემი ჭრიჭინა“.
უთარილო, ნაბეჭდი, 4 გვ.

85. ნინო უჩანეიშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იხსენებს მის პიროვნულ თვისებებს, მედევს მიერ შესრულებულ როლებს.
პირი: დ. რონდელი, გ. შავგულიძე, დ. კლდიაშვილი.
უთარილო, ხელნაწერი, მწვანე ბურთულიანი კალამი, 7 გვ. ერთვის ნაბეჭდი ვარიანტი.

86. ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს მედევს მოსვლას კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში, მის მიერ შეთავაზებულ საკმაოდ რთულ როლებს, კ/ფ-ის „ქეთო და კოტე“ გადაღებას.
უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 3 გვ. ნაბეჭდი 2 გვ. მე მგონი უნდა (ერთვის ნაბეჭდი ვარიანტი)

87. ქ. კ-ს (?) მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს საბჭოთა კინემატოგრაფისტების ჯგუფის მოგზაურობას საფრანგეთში კანის კინოფესტივალზე 1965 წ. მაისში.

პირი: ლეო ესაკია, როსტისლავ პლიატი, რევაზ თაბუკაშვილი, იაშა ხეიფეცი, იური გერმანი, ალექსეი კაპლერი, მარლენ ხუციევი, ირინე ჟდენტი, ჟაკ ტატი, დოდო აბაშიძე, თენგიზ აბულაძე, კაროლ ბეკერი, ნ. მიხაილოვი (მაშინდელი კულტურის მინისტრი), ფრანსუა ლიბე (კანის ფესტივალის დირექტორი), მერლინ მონრო, გრიგოლ ჩუხრაი, **რობერ** ოსეინი, ივანე პირიევი, სოფიკო ჭიაურელი.

უთარილო, ნაბეჭდი ჩასწორებული მწვანე ბურთულიანი კალმით, 8 გვ.

88. პროფესორ თ. ლლონტის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს ერთობლივი მუშაობის პერიოდს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის დროს.

პირი: ა. კერნი, მ. ბარათაშვილი, **რ. ბლიატი**, ა. ტუპოლევი, ა. მიქოიანი, მ. ულიანოვი, ს. ობრაზცოვი, ვ. კოროსტილიოვი.

უთარილო, ნაბეჭდი რუსულ ენაზე, 4 გვ.

89. როსტისლავ პლიატის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს მედია ჯაფარიძის გასტროლებს მოსკოვში.

უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

90. ნელი იაშვილის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს არგვეთში გატარებულ ბავშვობას.

პირი: დავით, მედია, ბუჭუკა და თამარ იაშვილები, ლევ ტოლსტოი, სერგო ზაქარიაძე.

უთარილო, ნაბეჭდი. ხელნაწერი, რუსულ ენაზე, 6 გვ.

91. ევგენი ზავადსკის მოგონება მედია ჯაფარიძის შესახებ. იგონებს მსახიობის გასტროლებს მოსკოვში და სპექტაკლს „კეისარი და კლეოპატრა“.

უთარილო, ნაბეჭდი, ხელით ჩასწორებული, რუსულ ენაზე, დასაწყისი 1 გვ აკლია. 9 გვ.

92. მედია ჯაფარიძის ახლო ნათესავის ელისო ჯაფარიძის მოგონება მედიას შესახებ.

უთარილო, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 4 გვ.

93. უცნობი ავტორის მოგონება მედია ჯაფარიძეზე. იგონებს რკინიგზის რუსულ-ქართულ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდს.

პირი: ნ. ვაჩნაძე, თ. ბოლქვაძე, ა. თოიძე.

უთარილო, ნაბეჭდი, დაუსრულებელი, 2 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

მედია ჯაფარიძის წერილები

94. მედია ჯაფარიძის პირადი ხასიათის წერილი თამარ ჯავახიშვილისადმი.

უთარილო, ავტოგრაფი, ხელს აწერს: მ.ჯაფარიძე შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

95. მედია ჯაფარიძის წერილი საშასადმი. სწერს მასთან სტუმრობით მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე.

პირი: გრიშა სულიაშვილი.

უთარილო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაუმთავრებელი, 2 გვ.

96. მედია ჯაფარიძის პირადი ხასიათის წერილი მანანასადმი.

პირი: რეზო თაბუკაშვილი, ანა ახმატოვა.

უთარილო, ავტოგრაფი, ხელს აწერს მედია ჯაფარიძე. ლურჯი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, 4 გვ.

წერილები მედეა ჯაფარიძისადმი

97. უცნობი რეჟისორის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. ატყობინებს, რომ დაამთავრა სპექტაკლზე მუშაობა და იანვარში აპირებს თბილისში ჩამოსვლას.

პირი: ნატალია ნიკოლოზის ასული.

1949 წ. 17 დეკემბერი, მოსკოვი, ხელნაწერი, გვარი არ იკითხება, მელანი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

98. ვ.ტოპორკოვის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

პირი: პროკოფიევი, ნატალია ნიკოლოზის-ასული.

ხელს აწერს ვ.ტოპორკოვი.

1952 წ. 20 დეკემბერი, ავტოგრაფი და ნაბეჭდი, მელანი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

99. სვიმონ ციციშვილის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. განხილული აქვს კ.მარჯანიშვილის სახ. თეატრში დადგმული სპექტაკლი “მარინე”.

პირი: ნელი ჩაჩავა-ჯაფახიშვილი, ელიკო ციციშვილი.

1958 წ. 15 ივნისი, თბილისი, ხელნაწერი, მელანი, 2 გვ.

100. ვ.კალინინას პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს ვ.კალინინა.

1963 წ. 13 ნოემბერი, მოსკოვი, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

101. იაპონიის კომუნისტური პარტიის ბელადის ხოსიმატოს ქალიშვილის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. დიდ მადლობას უხდის იაპონიაში სტუმრობისა და საჩუქრისათვის.

1964 წ. 21 მაისი, ტოკიო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოუწერავი, 2 გვ.

102. ხასიმატას პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს ხასიმატა.

1964 წ. 23 მაისი, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

103. სერაფიმა ბირმანის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს სერაფიმა ბირმანი.

1966 წ. 6 იანვარი, მოსკოვი, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

104. იური ზავადსკის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. დადებით შეფასებას აძლევს მედეა ჯაფარიძის მიერ შესრულებულ კლეოპატრას როლს სპექტაკლში “კეისარი და კლეოპატრა”.

ხელს აწერს: ი.ზავადსკი, პ.სიდი ?

1966 წ. 6 იანვარი, მოსკოვი, ბლანკი, ხელნაწერი, შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

105. ილიას წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. სწერს ბ.შოუს “პიგმალიონი“-ს შესახებ, რომელიც გაიმართა მოსკოვში “Московей“-ის თეატრში.

პირი: ვ.მარეტკაია, მ.უღლიანოვი, გ.ტიტოვი, ი.ზავადსკი, რ.პლიატი, მორდვინოვი, ტატა, დოდო.

1966 წ. 7 იანვარი, მოსკოვი, ხელნაწერი, მელანი, რუსულ ენაზე, 4 გვ.

106. თამარისა და ვიკას პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

1967 წ. 12 ივნისი, ხელნაწერი, წითელი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

107. გოგუცა კუპრაშვილის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. წუხს, რომ ვერესწერება ავადმყოფობის გამო მის შემოქმედებით ზემს და უძღვნის საჩუქარს.

1976 წ. 19 ივნისი, თბილისი, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

108. თინა გეგეჭკორის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.
1967 წ. 19 ივნისი, ხელნაწერი, შავი მელანი, 2 გვ.

109. ქლოდიის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. იხსენებს მსახიობის შემოქმედებით სლამოს და მის მიერ შესრულებულ როლებს.
პირი: თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მზია მახვილაძე, ნ.ბადრიძე.
1967 წ. 22 ივნისი, ხელნაწერი, მელანი, ხელს აწერს ქლოდიე, 4 გვ.

110. სერაფიმა ბირმანის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.
პირი: ალექსანდრე ვიქტორის ძე.
ხელს აწერს სერაფიმა ბირმანი.
1967 წ. 23 ივლისი, მოსკოვი, ავტოგრაფი, შავი მელანი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

111. მარია იშხნელი-ხუციშვილის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. ულოცავს 8 მარტს.
1968 წ. 8 მარტი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

112. ნუგზარის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. უმხელს პირად გრძნობებს.
1968 წ. 22 აპრილი, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი და მელანი, 2 წერილის ფრაგმენტი, 4 გვ.

113. მსახიობ გ.ივერიელის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. აღტაცებას გამოხატავს მედეას მიერ შესრულებულ ელიზას როლზე სპექტაკლში “პიგმალიონი”.
პირი: მიშა, თინა.
ხელს აწერს გ.ივერიელი.
1968 წ. 1 დეკემბერი, ავტოგრაფი, მელანი, 1 გვ.

114. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის გ.ჩიტაიას წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. გორის თეატრის სპექტაკლის “ ანა ფრანკის დღიური” შესახებ, სადაც ანას როლზე მიწვეული იყო მედეა ჯაფარიძე.
პირი: ნ.ლორთქიფანიძე, ქობოლოშვილი, ლ.მცხეთელი, ფ.ფულარიანი, ვ.მარსაგიშვილი, ე.არაქლოვი, ნ.სალუქაშვილი, ლ.ოზგებაშვილი, შ.ხუციშვილი, დ.გურგენიძე, მ.დავითაშვილი, მარინა ვლადი, ანა მანიანი.
1969 წ. 16 მარტი, გორი, ავტოგრაფი, მელანი, დაზიანებული, 4 გვ.

115. საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის დარეჯან რამიშვილის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.
1969 წ. 16 მარტი, გორი, ხელნაწერი, მელანი, 3 გვ.

116. ნ.ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრის უფროსი მასწავლებლის ლიანა ბახტაძის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.
1969 წ. 16 მარტი, გორი, ავტოგრაფი, მელანი, 4 გვ.

117. ოტო ფრანკის (ანა ფრანკის მამის) წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. მადლობას უხდის ანა ფრანკის როლის შესრულებისათვის.
პირი: ვერა საფრონოვა, გიგა ლორთქიფანიძე.
ხელს აწერს ოტო ფრანკი.
1970 წ. 5 მარტი, შვეიცარია, ბირსფელდენი, ხელნაწერი და ნაბეჭდი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, გერმანულ ენაზე, მინაწერი რუსულ ენაზე, 3 გვ.

118. უცნობი თაყვანისმცემელის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. საუბარია ონის სახალხო თეატრის სცენაზე შესრულებულ ანა ფრანკის როლზე.

პირი: გიგა ჯაფარიძე.

1970 წ. 31 ივლისი, ონი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

119. ონის სახალხო თეატრის მსახიობის ნესტორ დუშუაშვილის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. საუბარია ონის სახალხო თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლზე “ანა ფრანკის დღიური”, სადაც მედეამ ითამაშა ანა ფრანკის როლი. აგრეთვე ანა ფრანკის მამის, ოტო ფრანკის მადლობის წერილი შვეიცარიიდან მ.ჯაფარიძისადმი.

პირი: მყვალა ჯაფარიძე, გიგა ჯაფარიძე, არიანა შენგელაია, ოტო ფრანკი.

ხელს აწერს ნესტორ დუშუაშვილი.

1970 წ. 1 აგვისტო, ონი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, ქართულ და რუსულ ენებზე, 5 გვ.

120. ნუგზარის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. უმხელს პირად გრძნობებს.

1970 წ. 21 ნოემბერი, ავტოგრაფი, მელანი, 4 გვ.

121. ტასო დონაური-ეტელის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

პირი: ედიშერი, ფედოსია, სანდრო, ნინო, შალვა, ქეთო, ჯიმშერი.

ხელს აწერს ტ.დონაური.

1971 წ. 23 აპრილი, ნიუ-იორკი, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, 2 გვ. 1 კონვერტი.

122. ტასო დონაური-ეტელის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

პირი: ფედოსია, სანდრო, ცაცა, შალიკო.

ხელს აწერს ტ.დონაური.

1971 წ. 5 მაისი, ავტოგრაფი, ნიუ-იორკი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, დაზიანებული, 2 გვ.

123. დიმიტრი ჯანელიძის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს დიმიტრი ჯანელიძე.

1972 წ. ავტოგრაფი, შავი მელანი, დაზიანებული, 1 გვ.

124. რობერტის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. მიაჩნია, რომ მის მიერ დახატულ მედეას პორტრეტებში ყველაზე უფრო ეს გავს.

1973 წ. 26 მაისი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 1 გვ.

125. ჯოვანა დი ვარდას პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს ჯოვანა დი ვარდა.

1974 წ. 29 ივნისი, მილანი, ავტოგრაფი, შავი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

126. ნატალია საცის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

პირი: იოსებ ლეონიდეს-ძე პრუტი.

ხელს აწერს ნ.საცი.

1975 წ. 1 ივნისი, მოსკოვი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, დაზიანებული, 1 გვ.

127. მოსწავლე ნინო თურქიაშვილის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

1975 წ. 5 ივნისი, ბათუმი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 3 გვ.

128. ლამარა ნიკოლაიშვილისა და მზია ჯიქიას პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. (ფრაგმენტი)

ხელს აწერს: ლამარა ნიკოლაიშვილი, მზია ჯიქია.

1975 წ. 12 ივნისი, თბილისი, ხელნაწერი, შავი მელანი, დაზიანებული, 1 გვ.

129. ნატალია საცის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

პირი: რეზო და ლაშა თაბუკაშვილები, ა.მაჭავარიანი, ოთარ თაქთაქიშვილი, პეტრე ნილის ძე, ილუშა.

ხელს აწერს ნატალია საცი.

1976 წ. 10 აპრილი, მოსკოვი, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

130. ზვიად მანიას წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. სწერს მსახიობის შემოქმედების შესახებ.

1976 წ. 7 აგვისტო, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

131. ზუგდიდის რაიონის კომკავშირის პირველი მდივნის გურამ ფიფიას მისალოცი წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. ულოცავს შემოქმედებით სადამოს.

პირი: რეზო ჩხეიძე, ელიზაბეტ ტეილორი.

ხელს აწერს გურამ ფიფია.

1976 წ. 8 აგვისტო, ნაბეჭდი, 3 გვ.

132. ზუგდიდის რაიონის ზედაეწერის საბჭოთა მკურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივის სახელით გრიგოლ შონიას მხატვრული წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. უძღვნიან მცირედ საჩუქარს სუვენირის სახით.

1976 წ. 8 აგვისტო, ხელნაწერი, ლურჯი და წითელი მელანი, 1 გვ.

133. ჯუმბერ ოსიშვილის პირადი ხასიათის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი.

ხელს აწერს ჯუმბერ ოსიშვილი.

1977 წ. 16 თებერვალი, ავტოგრაფი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

134. ლია კამლაძის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. საუბარია კინოფილმ “მზე შემოდგომისას” შესახებ.

ხელს აწერს ლია კამლაძე.

1977 წ. 15 მარტი, ხელნაწერი, ლურჯი ბურთულიანი კალამი, 2 გვ.

135. დეიდა ტასოს წერილი მედეა ჯაფარიძისადმი. სწერს, რომ უგზავნის ორ სიმღერას.

პირი: თამარ ჭავჭავაძე, შვანგირაძე, წულუკიძე, ახმეტელი, შალვა.

1978 წ. 28 თებერვალი, ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, 2 გვ.

